

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №17

ქ.ვანი. თავისუფლების ქ. N 65

15. 09.2021 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე -**ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, რამაზ არველაძე, მალხაზ ცერცვაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე.(დანართი №1).

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

სხდომა 13-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2021 წლის 15 სექტემბრის ბიუროს სხდომის

დღის წესრიგი

1. „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, საპროექტო იდეის მოწონების შესახებ“
მომხს: ზაზა ოჩხიკიძე
2. „ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 11 მარტის N27 10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

მომხს.: მამუკა ნამიჭეიშვილი

3. „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანისა და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე“

მომხს: ზვიადი კაპანაძე

4. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში, ჯორჯიაშვილის ქუჩა N2-ის წინ მდებარე 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.431) შპს „ალმა“-

სთვის (ს/კ 204873388) იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 3 თვის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

მომხ: ზვიადი კაპანაძე

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზაზა ოჩიკიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, საპროექტო იდეის მოწონების შესახებ“

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა (სრგპ), რომელსაც ანხორციელებს ევროკავშირი 2021-2022 წლებში.

ჩვენი საპროექტო იდეაა „უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით - გალაქტიონ და ტიცვან ტაბიძეების სახლმუზეუმების ეზოების კეთილმოწყობა“.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 15 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11/03/2021 წლის N27 10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ვანის მუნიციპალიტეტის სოფლებში დაგეგმილ სამუშაოებში წარმოდგენილი ცვლილებები გათვალისწინებულია ექვსი ადმინისტრაციული ერთეულის შვიდ სოფელში და წარმოადგინა ეს ცვლილებები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 15 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანისა და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე“

მომხსენებელმა წარმოადგინა საპრივატიზებო ობიექტთა სია და მათი საწყისი საპრივატიზებო ფასები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 15 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში, ჯორჯიაშვილის ქუჩა N2-ის წინ მდებარე 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.431) შპს „ალმა“-სთვის (ს/კ 204873388) იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 3 თვის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინა საკრებულოს სხდომაზე გატანილი იქნა ეს საკითხი, მაგრამ ხელშეკრულება არ გაფორმდა შ.პ.ს „AD GEORGIA“-სთან ამ კომპანიის უარის გამო. ეხლა ეს ხელშეკრულება გაუფორმდა შ.პ.ს „ალმა“-ს.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 15 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

საკითხის ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე